პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 96 (2816) ● შაბათი, 18 მაისი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.

ავსტრია—სსრ კავშირი

მოსკოვი, 17 მაისი (ტელეფონით). გუშინ აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ძველი მეტოქეების — სსრ კავშირისა და ავსტრიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგურმა მატჩმა. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებზე მსხდომი 100 ათასი მაყურებელი გულთბილად მიესალმა ორივე გუნდს. საბჭოთა ფეხბურთელების სათავეში გამოვიდა იგორ ნეტო, რომელიც აგერ უკვე 13 წელია თამაშობს ჩვენს ნაკრებში. გუშინდელი მისი გამოსვლა ჩვენს ეროვნულ გუნდში 59-ე იყო, მაგრამ იგი სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. მატჩის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ ნეტომ კაპიტნის უფლებანი გადასცა ვ. ივანოვს და მაყურებლებმა და სპორტსმენებმა მხურვალედ გააცილეს საბჭოთა ვეტერანი მოედნიდან....

გუნდები ასე გამოიყურებოდნენ: სსრ კავშირი — ბანიკოვი, დიკარევი, შესტერნიოვი, დანილოვი, ვორონინი, ლოგოფეტი, მეტრეველი, სიჭინავა, ივანოვი, კაზაკოვი, მესხი; ავსტრია — ზანვალდი, ჰალა, ბინდერი, კრემზერი, შტურმბერგერი, კოლერი, ჰირნშროდტი, ფლიოგელი, ზაიტლი, ზაბეცერი, ფიბიოკი.

პირველ ტაიმში იგრძნობოდა საბჭოთა ფეხბურთელების ერთგვარი უპირატესობა. თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეტრეველი.

შესვენების შემდეგ დანილოვი შეცვალა პონომარიოვმა, ლოგოფეტი — კრასნიცკიმ, მესხი — ჰუსაინოვმა. ცვლილება მოხდა სტუმართა რიგებშიც.

ავსტრიელები საკმაოდ ტექნიკურად და ენერგიულად თამაშობდნენ, მაგრამ მათ იერიშებს დამამთავრებელ ფაზაში სიმწვავე აკლდა.

საბჭოთა ფეხბურთელებმა, რომელთა შორის საუცხოოდ მოქმედებდნენ მეტრეველი, ივანოვი და სიჭინავა, ბოლო 15 წუთს კიდევ უფრო უმატეს ტემპს და ბევრი სახიფათო მომენტიც შექმნეს მეტოქის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ზანვალდის კარგი თამაშისა და ჩვენების უზუსტო დარტყმების გამო ანგარიში არ გახსნილა.

ძველ მეტოქეთა შეხვედრა პირველად დამთავრდა ფრედ — 0:0.

ფეხბურთი

სსრ კავშირის თასზე

გუშინწინ გაიმართა მეთექვსმეტედფინალის მორიგი მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ამ შეხვედრებმა გათამაშების მიღმა დატოვა „ა" კლასის პირველი ჯგუფის კიდევ 2 გუნდი, რომელთაგან ერთ-ერთი — კიევის „დინამო", შარშან ფლობდა ამ საპატიო პრიზს.

კიეველები **ნოვოსიბირსკში** შეხვდნენ ადგილობრივ არმიელთა გუნდს. მასპინძლებმა ძალიან ძლიერად ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე — 2:1.

კოსტრომაში თამაშობდნენ ადგილობრივი „ტექმაში" (რსფსრ-ს „ბ" კლასის I ზონის მონაწილე) და ოდესის არმიელები. „ა" კლასის ოსტატებმა აქაც მარცხი განიცადეს — 0:1.

ვინიცაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდები. მატჩი მოიგეს მოსკოველებმა — 2:0.

გუშინ შედგა კიდევ ერთი მატჩი თასზე. **სვერდლოვსკის** „ურალმაშმა" თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „სპარტაკი". თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 1:0.



თბილისის ველოსტადიონზე სამ დღეს იყო მაყურებელი დაძაბული და საინტერესო ბრძოლების მოწმე ქალაქის პირველობაზე ტრეკზე რბოლაში.

სურათზე: I კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვებული, სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრი შ. კალაძე.

ფოტო ი. იუნაევისა.

[illegible] საათი!

◆ რომი, 17 მაისი. იტალიის ქალაქ კომოში 12 ქვეყნის უძლიერესი რაპირისტი ქალები შეიკრიბნენ, რათა გაეთამაშებინათ „ვერცხლის პრიზი" — პოპულარული ასპარეზობა ფარიკაობაში. სანუკვარი ჯილდო მოიპოვა 23 წლის იტალიელმა, ვ. მაციოტამ. მან ფინალურ ბრძოლებში 6-ჯერ გაიმარჯვა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. II ადგილზეა მისი თანამემამულე ა. რანიო. საბჭოთა მოფარიკავეები წარუმატებლად გამოვიდნენ: გ. როსტვოროვა (მოსკოვი) იყო IV, ვ. პრუდსკოვა (სარატოვი) — V, ტ. სამუსენკო (მინსკი) — VIII. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენები მეორენი იყვნენ მასპინძლების შემდეგ.

◆ ბონი, 17 მაისი. მოტოკროსში მსოფლიო პირველობის VI ტურში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა — ვ. არბეკოვმა. 250 კუბური სანტიმეტრის მოცულობის მანქანებით ასპარეზობაში მან ორი რბოლა მოიგო. მეორე იყო ბელგიელი ჟ. როშერი, მესამე — მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ა. ჯონსონი (შვეცია). IV და V ადგილები წილად ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს გ. დრუგოვს და ინგლისელ ჯ. ბიკერსს. ასპარეზობა დასავლეთგერმანულ ქალაქ გისენში ჩატარდა. გამარჯვების შემდეგ არბეკოვი ბიკერსთან ერთად ლიდერობს: თითოეულს 26 ქულა აქვს.

◆ მექსიკის ფეხბურთელებმა ლონდონის საგზური მიიღეს. თავიანთ მოედანზე მათ მოუგეს საპასუხო მატჩი კოსტა-რიკის ნაკრებს — 1:0. ბრაზილიელებსა და ინგლისელებთან ერთად ისინი მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს VIII ჩემპიონატში.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურის მასწავლებელი მეცნიერებათა კანდიდატი

დუშანბელმა ფიზკულტურის მასწავლებელმა [illegible] თავისი დისერტაციის თემად აირჩია სპორტის ეროვნული სახეობები. მან ღრმად შეისწავლა ტაჯიკური ხალხის მდიდარი მემკვიდრეობა და საბჭოთა პედაგოგიკის საფუძველზე გადაამუშავა და ინსტიტუტებისა და სკოლებისთვის მოამზადა სპორტის 100 ეროვნული სახეობა და თამაში.

დისერტაციის დაცვამ დაადასტურა ახალგაზრდა მეცნიერის ცხრაწლიანი შრომა. სპორტის მრავალი ეროვნული სახეობა შეტანილია ტაჯიკეთის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის პროგრამაში.

ხ. მაჰმუდოვი.

დუშანბე.

„ოლიმპიური ქალაქი" კასპიის ნაპირზე

ელვისა და ბროწეულის ბაღებში ჩაფლული ზღვისპირეთის მომცრო დაბა ნარდარანი აზერბაიჯანის ახალ სპორტულ ცენტრად იქცევა. აქ, აფშერონის ნახევარკუნძულის ქვიშიან ნაპირზე, დაიწყო „ოლიმპიური ქალაქის" მშენებლობა. მისი ფართობი 100 ჰექტრით შემოისაზღვრება. სტადიონები და სპორტული მოედნები, რომლებზეც თითქმის ყველა საზაფხულო სახეობის სპორტსმენი შეძლებს ერთდროულად ვარჯიშს, უზარმაზარ პარკში იქნება მოთავსებული.

ქალაქის „მოსახლენი" მოთავსდებიან 200-ადგილიან კომფორტაბელურ სასტუმროში. „ოლიმპიური" სასადილო საკუთარი ბაღების ხეხილითა და ბოსტნეულით მომარაგდება. ქალაქში იქმნება დამხმარე მეურნეობა და სხვა ობიექტები.

ა. გოლდენბერგი.

ბაქო.

ბალტიისპირეთში უდიდესი

ესტონეთის დედაქალაქის წარმტაც გარეუბანში, ცნობილი სამოტოციკლო რკალური ტრასის (პირიტა—კოზე—კლოოსტრიმეტსა) მახლობლად აიგება ბალტიისპირეთში უდიდესი ველოტრეკი. მას საფუძვლად უდევს ტულის ველოტრეკის პროექტი, რომელიც საფუძვლიანადაა გადამუშავებული და სრულყოფილი.

ახალი ველოტრეკის ტრიბუნები 3 ათას მაყურებელს დაიტევს.

მ. ოდე.

ტალინი.

„მამა, დედა, პაიკები და მე"

ამ დღეებში ლენინგრადში, ჩიგორინის სახელობის საჭადრაკო კლუბის მაგიდებთან, ადგილებს იკავებდნენ „ოჯახური პრინციპის" მიხედვით შედგენილი გუნდები. ვაჟების დაფაზე გვარის მეთაური გამოდიოდა, ქალებისაზე — დედა, ბავშვთა დაფაზე კი — საჭადრაკო ტრადიციების მომავალი შემნახავი. ყველა ოჯახური „ტრიო" იბრძოდა ახალგაზრდული გაზეთ „სმენას" პრიზზე. ტურნირს, რომელიც ოლიმპიური სისტემით იმართებოდა, ერქვა „მამა, დედა და მე".

I ჯგუფის ლაურეატები გახდნენ ოსტატობის კანდიდატი ალექსანდრე რუტმანი, მისი მეუღლე — პირველთანრიგოსანი ვალერია და მათი შვილი — IV თანრიგის მოჭადრაკე, მოწაფე იულია. მათ დაამარცხეს საერთაშორისო ოსტატ ბ. ვლადიმიროვისა და ოსტატობის კანდიდატ ბ. ვოლინსკის „ოჯახური გუნდები".

„ბ" ჯგუფში, სადაც უძველესი თამაშის უბრალო მოყვარულნი შეიკრიბნენ, საუკეთესო იყო ზასურცევების „ტრიო". პირველ დაფაზე ოჯახის ღირსებას იცავდა მამა — ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ზასურცევი, მეორეზე — დედა, ზოია პავლეს ასული, ინგლისური ენის მასწავლებელი, მესამეზე — VIII კლასის მოსწავლე ვლადიმერი.

„სმენის" ოჯახური საჭადრაკო ტურნირი ამიერიდან ტრადიციად იქცევა.

ა. პერეპელიცა.

ლენინგრადი.

საქმეები მოგვითხრობს

სამთო-სათხილამურო ტრასაზე — მეცნიერები

მოსკოვში, თბილისში, ლენინგრადში, კიევში უკვე დაიწყო სპორტის საზაფხულო სეზონი, ხიბინსკის მთებში კი ჯერ კიდევ თოვლი დევს. აქ მოთხილამურეები განაგრძობენ შეჯიბრებებს.

აიკუაივენჩორას მთის ფერდობებზე პირად-გუნდური პირველობა ჩაატარეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების მეცნიერებმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და იმიერპოლარეთიდან. ახალგაზრდა მეცნიერთა შეჯიბრებები ტრადიციად იქცა და პოპულარობაც მოიხვეჭა.

სტარტზე გამოვიდა სამთო-სათხილამურო სპორტით გატაცებული 65 მათემატიკოსი, ფიზიკოსი, გეოგრაფი, გეოლოგი. ვაჟები და ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სპეციალურ სლალომსა და გიგანტურ სლალომში.

ორჭიდის ჯამში I ადგილი დაიკავა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის სპორტულმა კლუბმა. II ადგილზე გავიდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოლსკის ფილიალის მოთხილამურენი.

თავიანთი შეჯიბრება ახალგაზრდა სპორტსმენებმა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავს უძღვნეს.

მოსკოვის იპოდრომზე ამას წინათ გაიმართა IV საკავშირო მძლეოსნური კროსი გაზეთ „პრავდის" პრიზზე.

სურათებზე: მარცხნივ — 8000 მეტრზე ვაჟთა რბენა. წინაა გამარჯვებული ლ. ივანოვი (22.51,8); მარჯვნივ — 2000 მეტრზე ქალთა შორის უძლიერესი თ. დმიტრიევა (6.9,6) ამთავრებს დისტანციას.

ფოტო ვ. უნ და-სინისა და ვ. შანდრინისა (საკდესი).

ახლახანს დამთავრდა თბილისის პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში ჭაბუკთა შორის.

სურათზე: ახალგაზრდობის სპორტული სკოლის მოსწავლე ნ. ლოსაბერიძე ცხენოსნურ კროსში ასპარეზობისას.

ფოტო სპორტის ოსტატ ზ. ჭამეწკისა.

სტარტზეა სტუდენტობა

სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ორიოდე დღეც და დაეშვება ამ დიდი ასპარეზობის ალამი, ცნობილი გახდება ყველა სახეობაში და საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულთა სახელები. ქვემოთ მოგითხრობთ გასულ კვირას გამართულ ასპარეზობებზე.



ტანვარჯიშში

პირველი დღის ასპარეზობამ ოსტატთა შორის გამოავლინა აბსოლუტური ჩემპიონი. ქალებში ეს საპატიო ტიტული დაისაკუთრა სპი-ს სტუდენტმა ვ. ნარსიამ — 37,65 ქულა. II ადგილი წილად ხვდა მომავალ ექიმს ც. ჭკადუას, III ადგილზე გავიდა კ. მუკნიაშვილი (გორის პედინსტიტუტი). ოსტატ ვაჟთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა კ. გელოვანმა (სპი) —55,2 ქულა. მისი თანაგუნდელები გ. ბანძელაძე და თ. კოხრეიძე შესაბამისად გავიდნენ II-III ადგილებზე.

გამოვლინდნენ ლიდერებიც ცალკეულ იარაღებზე. ქალთა შორის ხტომებში წინაა ქ. ქაჯაია (თსუ), ძელზე და ორძელზე ვარჯიშებში — ნარსია, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში — ნარსია და მუკნიაშვილი.

ვაჟთა შორის თავისუფალ ვარჯიშსა და ძელზე I ადგილზე მიდის ბანძელაძე, ხოლო ორძელზე, ტაიჭზე, რგოლებზე და ბჯენით ხტომებში პირველობას არავის უთმობს გელოვანი.

პირველთანრიგოსან ტანმოვარჯიშეთა შორის სავალდებულო პროგრამის შემდეგ ლიდერობენ გორის პედინსტიტუტის სტუდენტი ნ. ამბოკაძე (ქალებში) და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი რ. გოდუაძე.

სამბო

პირველობას 5 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს. ხალიჩაზე გამოვიდა 40 სპორტსმენი, რომელთაგან ერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი იყო და 14 სპორტის ოსტატი.

გუნდური პირველობა დამსახურებულად მოიპოვეს უნივერსიტეტის მოჭიდავეებმა. II ადგილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტი, ხოლო მესამეზე — გორის პედინსტიტუტი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ძიუდოში ტოკიოს ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ევროპის ჩემპიონ ფ. ჩიკვილაძის ჭიდაობამ. მან ყველა შეხვედრა მოიგო.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ჩუხრუკიძე (გორის პედინსტიტუტი), შ. ფიცხელაური (თსუ), ი. გოჩიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ვ. ქევხიშვილი (თსუ), ა. გულისაშვილი, მ. მარგველიანი (ორივენი — ფიზკულტურის ინსტიტუტი), ა. ზურაბაული და ფ. ჩიკვილაძე (ორივენი — თსუ).

თავისუფალი ჭიდაობა

I ჯგუფში გუნდური პირველობა მოიგეს უნივერსიტეტის მოჭიდავეებმა. II ადგილზე გავიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, ხოლო მესამეზე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი.

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: ზ. მონასელიძემ, თ. კველიშვილმა (ორივენი — თსუ), გ. ყვარელაშვილმა (სპი), გ. ჯოგლიძემ (თსუ), მ. ასლამაზიშვილმა (სპი), მ. თბილელმა (თსუ), რ. მაჭავარიანმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ზ. გაბარაევმა (თსუ).

კალათბურთი

I ჯგუფის ვაჟთა გუნდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. სპი, 2. თსუ, 3. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ქალთა შორის II ჯგუფში I ადგილი მოიპოვა უცხო ენათა ინსტიტუტის კოლექტივმა, II — სამედიცინო, ხოლო III — ბათუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა. ვაჟებში პირველი 3 ადგილი შესაბამისად გაინაწილეს თბილისის სამედიცინო, ბათუმისა და ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა.

III ჯგუფის ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში ყველას აჯობა ცხინვალის პედინსტიტუტმა. მომდევნო ადგილებზე არიან კონსერვატორია და თეატრალური ინსტიტუტი.

ფარიკაობა

პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა ესპადრონისტთა ასპარეზობა. პირველობისთვის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა უნივერსიტეტელ სპორტის ოსტატ ა. გოგელიასა და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელ გ. ლორთქიფანიძეს შორის. გაიმარჯვა გოგელიამ, რომელმაც მეორედ მოიპოვა სტუდენტთა თამაშების ჩემპიონის სახელი. III იყო სპორტის ოსტატი ა. ქვრივიშვილი.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა უნივერსიტეტის კოლექტივმა.

ჩოგბურთი

ტურნირი დაიწყო გუნდური შეჯიბრებებით. I ჯგუფში მეტად იოლი გამარჯვება მოიპოვეს პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ჩოგბურთელებმა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან შეხვედრაში — 9:0. ასევე ადვილად მოუგეს მომავალმა ინჟინრებმა ფიზკულტურის ინსტიტუტელებს — 6:1.

II ჯგუფში შედარებით დაძაბული ბრძოლა გაიმართა ბათუმისა და სოხუმის მომავალ პედაგოგთა კოლექტივებს შორის. გაიმარჯვეს ბათუმელებმა — 5:3. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა სამედიცინო ინსტიტუტის ჩოგბურთელები — 6:1.

მაგიდის ჩოგბურთი

I ჯგუფში თითქმის ყველა მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5:0. ვასახელებთ გამარჯვებულებს: სპი, თსუ, სასოფლო-სამეურნეო და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტები.

მეტად დაძაბული აღმოჩნდა ორი შეხვედრა II ჯგუფში. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც გუშინწინ 2 მატჩი გამართა, ორივე მინიმალური სხვაობით მოიგო — 5:4. სოხუმელებმა ჯერ დაამარცხეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის, ხოლო შემდეგ მომავალი ექიმების გუნდები. ამ დღეს 2-2 გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე ბათუმის პედაგოგიურმა და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტების კოლექტივებმა.

III ჯგუფში ერთადერთი ბრძოლა გამოდგა საინტერესო. ეს იყო სახელმწიფო კონსერვატორიისა და თელავის პედინსტიტუტის სპორტსმენთა შეხვედრა. გაიმარჯვეს კონსერვატორიელებმა — 5:3.

გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.

დღეს ასპარეზობანი გაიმართება მძლეოსნობაში, ცურვაში, ნიჩბოსნობაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ჩოგბურთში და სხვ.

ფინალში მოსახვედრად

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში ამჟამად მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებელთა საკავშირო ზონალური ასპარეზობა სპორტის რამდენიმე სახეობაში. თბილისში ასეთი შეჯიბრება დაიწყო ხელბურთში, რომელშიც ვაჟთა 5 კოლექტივი მონაწილეობს. ფინალში (გაიმართება ივნისში ვორონეჟს) გადის თითო გამარჯვებული.

თბილისის ზონის I ტურში ადგილობრივი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის კოლექტივმა ერევნელ კოლეგებთან დაძაბულ ბრძოლაში შეძლო გამარჯვების მოპოვება — 20:17 (12:11). ჩვენს დედაქალაქს ამ დღეს მეორე გამარჯვება მოუტანეს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხელბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს ნოვოჩერკასკის საინჟინრო-სამელიორაციო ინსტიტუტის სპორტსმენები — 20:15 (11:6).

გუშინ გაიმართა II ტურის შეხვედრები. შედეგები ასეთია: ნოვოჩერკასკი — კრასნოდარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 22:12 (9:7), თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — ერევანი 32:19 (16:9).

ბრძოლა „ა“ კლასის სამზურისთვის

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის „ა“ კლასის ხელბურთელთა ჩემპიონატებში მუდამ წარმატებით გამოდის თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა კოლექტივი. სამწუხაროდ, ასე როდი გვაქვს საქმე ქალთა ხელბურთში. წელს ჩვენი რესპუბლიკის ქალთა ერთი კოლექტივი „ა“ კლასის იმ გუნდების შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც XIII-XXIV ადგილებისთვის იბრძოლებენ. მანამდე კი თვით რესპუბლიკის ორ გუნდს ერთმანეთთან შეხვედრებში უნდა გაერკვია, თუ ვინ გამოვიდოდა ამ საკავშირო შეჯიბრებაში. ეს ორი გუნდი იყო თბილისის „განთიადი“ და საქართველოს წლევანდელი ჩემპიონი — პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის კოლექტივი.

ამ გუნდებს შორის გამარჯვებულის დასადგენად საჭირო გახდა 3 შეხვედრის გამართვა. პირველ მატჩში იმარჯვეს სტუდენტებმა (14:6), ხოლო მეორეში — განთიადელებმა (10:5). ყველაფერი უნდა გაერკვია მესამე, გადამწყვეტ შეხვედრას, რომელიც გუშინ გაიმართა. გაიმარჯვეს განთიადელებმა 5:0.

ამგვარად, საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება ხელთ იპყრეს განთიადელებმა.

ორი პარტიის წაგების შემდეგ...

ამხანაგური შეხვედრის გასამართავად ცაგერში ჩამოვიდა ქუთაისის პედინსტიტუტის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი. მოედანზე პირისპირ დადგნენ ინსტიტუტისა და რაიონის ნაკრები კოლექტივები. პირველი ორი პარტია სტუმრებმა მოიგეს, მაგრამ შემდეგ ისინი წააწყდნენ მეტოქეთა გააფთრებულ წინააღმდეგობას.

ცაგერელთა გუნდიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა დ. ხაბულიანი, რომლის შეტევით დარტყმებს ქუთაისელებმა ვერაფერი მოუხერხეს და ზედიზედ წააგეს 3 პარტია.

შეხვედრა დამთავრდა ადგილობრივ სპორტსმენთა გამარჯვებით — 3:2.

გ. ხვადაგიანი,

ცაგერის სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

ტრადიციული სპარტაკიადა

✦ ქედა

ორ კვირას გრძელდებოდა რაიონის მოსწავლეთა XVII სპარტაკიადა, რომელშიც 700-მდე ჭაბუკი და გოგონა მონაწილეობდა. შეჯიბრებები გაიმართა კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სროლაში, ჭადრაკსა და შაშში. სპარტაკიადაში საერთო პირველობა და რაიონის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს სოფელ მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის ფიზკულტურელებმა. რვაწლიან სკოლებში ყველას აჯობეს აწჭესელებმა.

ი. გოგიტიძე,

სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარე.

ფეხბურთის რეგბი

როცა ფეხბურთის ისტორიაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მისი ღვიძლი ძმის — რეგბის ისტორიას, რადგან ისინი ასაკობრივად ერთი ხნისანი არიან.

XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისის კულტურის განვითარებასა და ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების (კოლეჯები) გაფართოებასთან ერთად ახალგაზრდობას უფრო და უფრო იტაცებდა ფიზიკური ვარჯიში, განსაკუთრებით თამაშობანი. ამ პერიოდში აღმოცენდა ის სახეობა, სადაც ბურთს ხელსა და ფეხს ურტყამდნენ.

ასეთი თამაშები არ განისაზღვრებოდა წესებით, დროითა და მოთამაშეთა რაოდენობით (თამაშობდა სოფელი სოფელთან, სკოლა — სკოლასთან). ყველა სადაო საკითხს სპორტსმენები წყვეტდნენ ასპარეზობის დასაწყისში ან მის პროცესში. ნათელი იყო მხოლოდ მიზანი — ბურთის შეგდება მეტოქის კარში. სწორედ ეს თამაშები გახდა რეგბის აღმოცენების წინამძღვარი. და მაინც რეგბის აქვს თავისი დაბადების დღე, 1823 წლის 7 აპრილი, და დაბადების ადგილი, პატარა ქალაქი რეგბი, რომელიც ლონდონს 300 კილომეტრითაა დაშორებული.

რეგბის „ნათლია“ კოლეჯის მასწავლებელი ვილიამ ვებ ელისსია. იმ დღეს, როცა ინგლისელები ვატერლოოსთან გამარჯვების მე-7 წლისთავს ზეიმობდნენ, თამაშის დროს ვებ ელისსმა ბურთს დასტაცა ხელი (მანამდე ნებადართული იყო მხოლოდ ბურთზე დარტყმა) და გაიქცა მეტოქის კარისკენ. მეტოქენი ამაოდ ცდილობდნენ მის შეჩერებას. ელისსი მოხერხებულად უვლიდა გვერდს მოწინააღმდეგეებს და ისტორიაში პირველი რეგბის ბურთი შეიტანა მეტოქეთა კარში. ასეთი თამაში ახალგაზრდებს შეუყვარდათ და მალე გაჩნდა მოყვარულთა ორი მიმართულება: 1. ხელით და ფეხით თამაშისა და 2. მხოლოდ ფეხით თამაშის მომხრეები.

პირველს დაერქვა „ფეხბურთი-რეგბი“, მეორეს — „ფეხბურთი-ასოციაცია“ (1864 წელს შეიქმნა ამ თამაშთა მოყვარულების პირველი ასოციაცია).

1861 წელს ჩამოყალიბდა რეგბის პირველი წესები, გარკვეული ზომა მიიღო მოედანმა, დადგინდა მოთამაშეთა რაოდენობა (20 კაცი გუნდში), შემოიღეს „თამაშგარე მდგომარეობის“ წესი, აკრძალეს უხეში ილეთები, შეიცვალა კარში დარტყმა და სხვ. ახალი წესების ერთ-ერთი ავტორთაგანი იყო იმ დროს სახელგანთქმული მოთამაშე ლ. მატონი. გაურკვეველი დარჩა მხოლოდ ასპარეზობის ხანგრძლიობა: თამაშობდნენ ორ-ორი დღე და საყაიმო შედეგის დროს უფრო მეტ ხანს.

იმავე წლებში ჩამოყალიბდა პირველი კლუბები — „ბლევხიბი“ (1863 წ.) და „რიჩმონტი“ (1864 წ.). და, ბოლოს, 1871 წლის 26 იანვარს რეგბის 21 კლუბის წარმომადგენლებმა დააწესეს პირველი ეროვნული კავშირი — „რეგბი-ფეხბურთი“, რის შემდეგ ამ სახეობამ უფრო სწრაფად იწყო განვითარება ბრიტანეთის იმპერიის ყველა ქვეყანაში — ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში, უელსში.

1890 წელს შეიქმნა პირველი საერთაშორისო კავშირი („ინტერნეიშნლ ბოადი — რეგბი-ფეხბურთი“), რომელიც დღესაც არსებობს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში გამოჩნდნენ პირველი მსაჯებიც. თამაშის წესებმა განიცადა ახალი ცვლილება. მოთამაშეთა შემადგენლობა 15 კაცამდე შემცირდა, შეიზღუდა თამაშის დრო და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში რეგბი ფართოდ გავრცელდა დიდი ბრიტანეთის დომინიონებსა და მეტროპოლიებშიც. იგი შეიჭრა ევროპის ქვეყნებშიც — საფრანგეთში, რუმინეთში, პოლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენტები გვატყობინებენ

✦ რუსთავი

მე-17 საშუალო სკოლა სულ რაღაც 3 წელია შევიდა მწყობრში, მაგრამ მის ფიზკულტურულ კოლექტივში უკვე ბევრი რამ მნიშვნელოვანი გაკეთდა. საკმარისია ითქვას, რომ სკოლაში ამ ბოლო დროს მომზადდა 2 პირველთანრიგოსანი, 4 მეორე და 23 მესამეთანრიგოსანი.

უ. ფილიევი.

✦ ლენინგორი

გაიმართა საშუალო სკოლათა გუნდების შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში. სპორტის ორივე სახეობაში (როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში) პირველობა არავის დაუთმეს ლენინგორის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. (ფიზაღზრდის მასწავლებლები ზ. მარგიევი და ზ. მემარნიშვილი).

ზ. ჩოჩიევი.

უპირატესობა აშკარა იყო

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მორიგ მატჩზე

ნიჩბოსნობა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტსმენთა საკავშირო ზონალური ასპარეზობა საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში ყოველწლიურად იმართება და მუდამ აშკარაა საქართველოს გუნდის უპირატესობა. თუ წინათ საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატება შედარებით ძნელ და მწვავე ბრძოლაში იჭედებოდა, ამ დღეებში გამარჯვება თითქმის უკონკურენციოდ დაიმსახურეს მასპინძლებმა: თბილისის ზღვაზე გამართულ ორდღიან ტურნირში აზერბაიჯანისა და სომხეთის ნიჩბოსნებმა ვერ შეძლეს ვერც ერთი I ადგილის (14-დან) დასაკუთრება. მასპინძელთა უპირატესობა ყველა კლასში იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ზოგჯერ ისინი მეტოქეებზე 19-35 წამით ადრე ამთავრებდნენ რბოლას.

რომ არაფერი ვთქვათ სომხეთის ძალზე სუსტ გუნდზე, აზერბაიჯანელებიც აშკარად ჩამორჩებოდნენ მასპინძლებს როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკური მომზადებით.

ორგანიზებულად ჩატარებულმა ასპარეზობამ (მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი კ. რევია) ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ნიჩბოსანთა საკავშირო ზონალური შეჯიბრება მეტოქეთა უთანაბრო კონკურენციის გამო ხელს ვერ უწყობს საქართველოს სპორტსმენთა შემდგომ დაოსტატებას.

რაც შეეხება მასპინძელთა გუნდის წევრებს, კონკურენციას მათ ისევ საქართველოს ის ნიჩბოსნები უწევდნენ, რომლებიც პირად ჩათვლაში გამოდიოდნენ. სწორედ მათ შორის გაიმართა საინტერესო ჭიდილი ორადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე ქალთა შორის და ორადგილიანი ბაიდარებით 500, აგრეთვე ორადგილიანი კანოეთი 1000 მეტრზე ვაჟთა შორის...

ტურნირი გახსნეს ერთადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე მოასპარეზე ქალებმა. 3-3 ნავით (2-2 პირადში) გამოვიდნენ საქართველო და აზერბაიჯანი, ხოლო 1 ნავით — სომხეთი. სტარტიდანვე დაწინაურდნენ სპორტის ოსტატი ლ. ბესპალოვა (საქართველო), პირველთანრიგოსნები ნ. გოიდა (საქართველო, პირადი) და ა. კამაევა (აზერბაიჯანი), მაგრამ საქართველოს ნიჩბოსნებმა მალე უკან ჩამოიტოვეს სტუმარი, მერე ბესპალოვამ არც მეგობარი „დაინდო" და ფინიშთან პირველი მივიდა — 2.44,9. გოიდამ წააგო 8,6 წამი. აზერბაიჯანელის დრო 2.59,8.

ორადგილიანებით ამავე მანძილზე რბოლაში მასპინძლებმა „ცუდი სტუმართმოყვარეობა" გამოიჩინეს, — I-IV ადგილები ერთმანეთში გაიყვეს, სტუმრები კი V (აზერბაიჯანი) და VI (სომხეთი) ადგილებზე დატოვეს. სპორტის ოსტატებით დაკომპლექტებულმა ორეულმა (თ. ტოლკაჩოვა, ტ. ნეჩაევა) 2,2 წამით აჯობა ს. ბერიკაშვილისა და ლ. ნასყიდაშვილის ნავს.

უფრო თვალსაჩინო იყო ჩვენი ვაჟების უპირატესობა. ერთადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე რბოლაში სპორტის ოსტატმა ა. მატკავამ (4.41,8) ასპარეზობის II პრიზიორს — ვ. აკოპიანს (სომხეთი) ზუსტად 12 წამით მიასწრო ფინიშზე. ამავე მანძილზე ერთადგილიანი კანოეთი შეჯიბრებაში გამარჯვებულმა, სპორტის ოსტატმა ჯ. ხოშებაევმა (4.49,8) კი სტუმართა შორის საუკეთესო — ერევნელი რ. ამბარცუმიანი 24,2 წამით ჩამოიტოვა.

მ. მნათობიშვილი,
სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

შეჯიბრების ტექნიკური შედეგები: ქალები. ოთხადგილიანი ბაიდარა 500 მ — 1. საქართველო (თ. ტოლკაჩოვა, ნ. გოიდა, ლ. ბესპალოვა, ლ. ნასყიდაშვილი) — 2.15,1, 2. აზერბაიჯანი—2.28,8; ესტაფეტა 4×500 მ — 1. საქართველო (იგივე შემადგენლობა) — 11.27,0, 2. აზერბაიჯანი—11.33,4. ვაჟები. ბაიდარები 500 მ — ერთადგილიანი — 1. თ. ხუბერაშვილი (საქართველო) — 2.18,6, 2. ვ. ნიკიფოროვი (აზერბაიჯანი) — 2.22,0, ... 5. მ. მინასიანი (სომხეთი) — 2.27,4; ორადგილიანი — ვ. კალიუჟნი — პ. სტარიხი (საქართველო) — 2:05,8. ... 4. აზერბაიჯანი — 2.08,9, 5. სომხეთი — 2.20,0; ორადგილიანი ბაიდარა 1000 მ — ვ. პოკრიშენკო — ბ. მხეიძე (საქართველო) — 4.09,3, ... 3. აზერბაიჯანი—4.17,2, 4. სომხეთი — 4.22,2; ოთხადგილიანი ბაიდარა 1000 მ — საქართველო (ა. დოლმაზოვი, ს. ცხოვრებოვი, თ. ხუბერაშვილი, ს. ციცქიშვილი) — 3.49,3, 2. აზერბაიჯანი — 3.55,0 ... 4. სომხეთი — 4.08,2; ესტაფეტა 4×500 მ — საქართველო (კალიუჟნი, პოკრიშენკო, ხუბერაშვილი, მატკავა) — 9.41,2, 2. აზერბაიჯანი — 9.50,2, 3. სომხეთი — 10.09,5; ორადგილიანი კანოე 1000 მ — რ. ახუნდოვი — გ. მამულაშვილი (საქართველო) — 4,44,2 ... 3. აზერბაიჯანი —4.51,2, 4. სომხეთი—5.16,1; ესტაფეტა 4×500 მ—საქართველო (ახუნდოვი, მამულაშვილი, ხოშებაევი, ნ. რაზმაძე) — 10.59,4, 2. აზერბაიჯანი — 11.18,2, 3. სომხეთი — 11.31,2.

ჩემპიონობის ორი კანდიდატი

XV ტური
16 მაისი

1	ჯინჯიხაშვილი — ხოლმოვი	0
	გიორგაძე — მაჭავარიანი*	
0	ჩხაიძე — ბერაძე	1
1	გუსლაევი — გამრეკელი	0
1	ჩიქოვანი — ბოკუჩავა	0
½	გაფრინდაშვილი—ელიოზიშვილი	½
0	ლომაია — მიქაელიანი	1
1	გურგენიძე — ვეტოხინი	0
1	ვასიუკოვი — კიკიანი	0

* — პარტია გადაიდო.

უაღრესად დამუხტულ ბრძოლაში განვლო XV ტურის შეხვედრებმა, ცხადია, ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონის ტიტულის მთავარი კანდიდატების — გურგენიძისა და ჯინჯიხაშვილის პარტიები. გულშემატკივარი არც სხვა შეხვედრებს აკლდა, განსაკუთრებით კი ოსტატის წოდების მაძიებელ ელიოზიშვილს.

ყველაზე ადრე შედეგი ფიქსირებულ იქნა ელიოზიშვილის (შავები) პარტიაში გაფრინდაშვილთან. ოსტატობის კანდიდატმა შეძლო მსოფლიო ჩემპიონის პოზიციური უპირატესობის უვნებელყოფა და სასურველ ყაიმს მიაღწია.

ამასობაში ჯინჯიხაშვილი და გურგენიძე შეუპოვრად უტევდნენ ხოლმოვსა და ვეტოხინს. ყოველი სვლით თამაში მეტად მწვავე ხასიათს ღებულობდა.

ჯინჯიხაშვილი დიდხანს ინარჩუნებდა დებიუტში მიღებულ უპირატესობას, მაგრამ ღელავდა და ვერ აგნებდა გადამწყვეტი დარტყმის მომენტს. დიდოსტატმა თანდათან გაიუმჯობესა პოზიცია.

ხოლმოვი



ჯინჯიხაშვილი

და აი, ამ მდგომარეობაში, რომელიც კრიტიკულად უნდა მივიჩნიოთ, ხოლმოვს მხედველობიდან გამორჩა ძლიერი გაგრძელება 31. ... მe3 და ბრძოლის სასწორი ახალგაზრდა მეტოქის მხარეს გადაიხარა.

როგორ წარიმართებოდა თამაში 31. ... მe3 შემდეგ? ცხადია, არ ვარგა 32. fe კ:e3+ 33. მფf1 ეh1+ 34. კ:h1 ე:h1+ 35. მფg2 ე:d1 გამო. უკეთესი ჩანს 32. ე:c5, მაშინ 32. ... მ:g2 33. კe5+ მფa8 34. მფ:g2 bc საინტერესო თამაშით.

პარტია ასე გაგრძელდა:

31. ... მd6? 32. ე:c5 (სწორი შეწირვაა, რაც თეთრებს გარკვეულ უპირატესობას აძლევს) 32. ... bc 33. მ:c5 ეe8 34. კ:g7 ეh7 35. მ:b7 მ:b7 36. კd4 მd6 37. e5 მc4 38. ე:d3 მ:e5 39. ეe3 ეhe7 40. ეb3+ მფc8 41. კh3+ მფd8 42. f4 მd7 43. კ:a7 ეe1+ 44. მფg2 ე8e2+ 45. მფf3 ეh2 46. კg2 მf6 47. ეd3+ მფc7 48. კd4 მe4 49. კe3 მd6 50. g4 მc4 51. კf2 ეa1 52. კg3 ეh8 53. f5+ მფc8 54. g5 ე:a3 55. ე:a3 მ:a3 56. g6 მფd7 57. მფg4 მc4 58. მფg5 შავები დანებდნენ.

ამ გამარჯვებით ჯინჯიხაშვილმა მოაგროვა სანუკვარი 11 ქულა, რაც სპორტის ოსტატის ნორმატივად იყო დაწესებული. ამასთან, იგი დარჩა საქართველოს ჩემპიონის სახელის მოპოვების ერთ-ერთ სერიოზულ კანდიდატად.

დიდი ალმავლობით იბრძოდა გურგენიძე ვეტოხინთან. ვეტოხინისთვის ამ შეხვედრას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მოგების შემთხვევაში იგი ინარჩუნებდა სპორტის ოსტატის სახელის მოხვეჭის შანსებს. მაგრამ თვად გურგენიძესაც ჰაერივით სჭირდებოდა 1 ქულა, ამიტომ იგი უკომპრომისოდ იბრძოდა გამარჯვებისთვის.

გურგენიძე — ვეტოხინი

სიცილიური დაცვა

გურგენიძემ თამაში თავისი საყვარელი სისტემით დაიწყო და გარკვეული უპირატესობაც მიიღო. 12. d6-ის შემდეგ ვეტოხინი ძნელად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. გურგენიძემ შესანიშნავად წარმართა იერიში. მან შექმნა გამსვლელი პაიკები და ხარისხის შეწირვით გამარჯვება დაიახლოვა.

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 e5 4. 0—0 მge7 5. c3 g6 6. d4 ed 7. cd cd 8. მ:d4 კg7 9. კe3 0—0 10. მc3 d5 11. ed მb4 12. d6 მed5 13. მ:d5 მ:d5 14. მf5 კ:f5 15. ლ:d5 კ:b2 16. ეad1 a6 17. კd3 კe6 18. ლ:b7 ლf6 19. კe4 ეad8 20. ლ:a6 კc8 21. კb7 კg4 22. f3 კd7 23. კf2 კe5 24. ეfe1 ეfe8 25. a4 ეe6 26. ე:e5! ლ:e5 27. ლb6 ეde8 28. a5 კa4 29. ეd4 ლg5 30. h4 ლc1+ 31. მფh2 კd7 32. ლc7 ლf1 33. ლ:d7 ლ:f2 34. ეf4 f5 35. კd5 ლe3 36. ლ:e8+ მფg7 37. ლ:e6 ლ:f4+ 38. მფh3 შავები დანებდნენ.

...ჩემპიონის ვინაობის საკითხი ახლა ბევრადაა დამოკიდებული ამ საპატიო ტიტულის მოპოვების კანდიდატების — ჯინჯიხაშვილი — გურგენიძის შეხვედრაზე, რომელიც 19 მაისს შედგება.

თ. გიორგაძე.

გუშინ...

მე-15 ტურის გადადებული პარტიები ასე დამთავრდა: ელიოზიშვილმა მოუგო ლომაიას, გურგენიძემ — მიქაელიანს, გიორგაძემ — მაჭავარიანს და ყაიმით დაამთავრა კოკიანთან.

XV ტურის შემდეგ ჯინჯიხაშვილს 11 ქულა აქვს. გურგენიძესა და ვასიუკოვს — 10,5-10,5.

ახალი ამბები

● **დუბნიცა.** მშვიდობის ველორბოლაზე გაიმართა კიდევ ორი ეტაპი. VII ეტაპი პარდუბიცე — ოტროკოვიცე (200 კმ) ყველაზე სწრაფად განვლო ა. დევაჟმა (საფრანგეთი). საბჭოთა ველოსიპედისტები ათეულში ვერ მოხვდნენ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა. VIII ეტაპზე (გოტვალდოვო — დუბნიცა, 136 კმ, ოტროკოვიცეს გავლით) გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა გ. საიდხუჟინმა — 3:20.03,0. მასთან ერთად 8 სპორტსმენმა დაამთავრა დისტანცია, მათ შორისაა საბჭოთა ველოსიპედისტი ა. დოხლიაკოვიც. გუნდური I ადგილიც სსრ კავშირის ველოსიპედისტებს დარჩათ. 8 ეტაპის ჯამში პირად ჩათვლაში კვლავ წინაა გ. ლებედევი. საბჭოთა ველოსიპედისტები არც გუნდურ პირველობას თმობენ.

სურათზე ფ. მენიკელი.

● **ანტვერპენი,** 17 მაისი. ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ტანვარჯიშში პირველმა მოიპოვა იტალიელმა ფ. მენიკელიმ. 21 ქვეყნის სპორტსმენებთან ასპარეზობაში მან მრავალჭიდში 57,55 ქულა დააგროვა. 0,05 ქულით ჩამორჩა მას ვ. ლისიცკი (სსრ კავშირი), რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა რგოლებზე, ბჯენით ხტომებსა და ტაიჭზე. III ადგილზეა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ს. დიამიდოვი — 56,95 ქულა. ევროპის თასის (როგორც ადრე ამ შეჯიბრებებს უწოდებდნენ) ორგზის მფლობელი მ. ცერარი (იუგოსლავია) IV ადილზე დარჩა და დიამიდოვს 0,05 ქულით ჩამორჩა.

✦

● **მოსკოვი.** გაიმართა მძლეოსანთა მიმდინარე სეზონის პირველი საქალაქო ასპარეზობა ღია სარბიელზე. ქალთა შორის სიმაღლეზე სტომაში ტოკიოს ოლიმპიადის III პრიზიორმა ტ. ჩენჩიკმა იერიში მიიტანა საკავშირო რეკორდზე (178 სმ). მან წარმატებით დაძლია ყველა სიმაღლე, მათ შორის 176 სანტიმეტრიც, მაგრამ სარეკორდო თამასას (179 სმ) ვერ გადაევლო.

ტყუპის ცალი

აში, იტალიაში, გერმანიასა და სხვაან. ჩნდება რეგბის „ძმები" — ავსტრალიური და ამერიკული ფეხბურთი. შემდგომ, ევროპულ გუნდებთან შეხვედრის დროს, მათი ზეგავლენით ავსტრალიის რეგბიც ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა და დღეს იქ იმ წესებით თამაშობენ, რომლებიც ევროპაშია მიღებული. სხვაგვარად წარიმართა ამერიკული რეგბი-ფეხბურთის ისტორია. ოვალური ბურთი ამერიკის კონტინენტზე „საქმიანმა" ხალხმა შეიტანა, რომლებსაც საკმარისი წარმოდგენა არ ჰქონდა ამ თამაშზე. მათ სანახაობითი მხარე უფრო აინტერესებდათ, ამერიკული ფეხბურთი ბევრი რამით ჰგავს რეგბის (ბურთის ფორმით, კარით, ბურთის უკან გადაცემით), მაგრამ თავისი შინაარსით იგი ძირფესვიანად განსხვავდება თავისი წინაპრისაგან. ამერიკულ ფეხბურთში დაშვებულია ძალისმიერი, უხეში თამაში, ამიტომაც მატჩები ხშირად ტრავმებით მთავრდება.

30-იან წლებში რეგბი საკმაოდ გავრცელებული იყო ევროპაში და 1934 წელს მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციაც შეიქმნა. ეწყობოდა საერთაშორისო შეხვედრები. ისინი მიზნად ისახავდნენ ამ სახეობის პროპაგანდას ახალ ქვეყნებში — ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, ბულგარეთში, არგენტინაში, ჩილეში, მაროკოსა და სხვ.

1945 წლის შემდეგ რეგბის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეროვნული ფედერაცია. ყოველწლიურად აწყობს ტურნირებს გამარჯვების თასზე რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ისა და პოლონეთის გუნდებს შორის. ტრადიციული ასპარეზობის უცვლელი ჩემპიონები არიან რუმინეთის სპორტსმენები. კავშირი „ინტერნეიშლინ ბოად — რეგბი-ფეხბურთი" კი აწყობს „ხუთთა ტურნირს".

ამჟამად მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში თამაშობენ რეგბის. უძლიერესებად ითვლებიან რუმინელები, ფრანგები და ინგლისელები.

სსრ კავშირში რეგბისთან „ოფიციალური გაცნობა" შედგა 1934 წელს. 1937-1938 წლებში ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატი, 1939 წელს კი გათამაშდა თასი.

ჩვენს ქვეყანაში თავისი მეორე დაბადება რეგბიმ იზეიმა 1957 წლის იმ დღეებში, როცა მოსკოვში III საერთაშორისო მეგობრული ახალგაზრდული სპორტული თამაშობანი მიმდინარეობდა. მაშინ მაყურებელთა წინაშე წარდგნენ რუმინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისისა და ავსტრალიის გუნდები.

ჩვენს რესპუბლიკაში რეგბი 30-იან წლებში აღმოცენდა ფოთში. ბევრმა მკითხველმა ალბათ არ იცის, რომ ჩვენი დროის გამოჩენილმა ფეხბურთელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ სპორტული კარიერა სწორედ რეგბის თამაშით დაიწყო.

სპორტის ეს სახეობა საქართველოში დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს. შექმნილია პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, „ლოკომოტივის", „ისნის", „განთიადის" და „დინამოს" გუნდები. ამ წამოწყების ენთუზიასტები იყვნენ ქართველი სტუდენტები: გ. მრელაშვილი, ზ. მგელაძე, ო. დოლონაძე, ვ. მამაცაშვილი, ს. მელითაური, დ. ოსეფაიშვილი, გ. ჩეჩელაშვილი და სხვ. ჩვენმა გუნდებმა უკვე მოიპოვეს პირველი წარმატებანი, 1963 წელს თბილისში გამართულ საკავშირო პროფსაბჭოს პირველობაში „განთიადის" გუნდმა III საპრიზო ადგილი დაიკავა, ხოლო „ისნის" ახალგაზრდა კოლექტივი უკრაინის ჩემპიონი გახდა (ღია პირველობაში).

საქართველოს გუნდები წელს დიდი სტარტის წინაშე დგანან და იმედია, ახალი წარმატებებით აღნიშნავენ მას.

ქ. ქვინიხიძე.

სოფიაში ამას წინათ დამთავრებულ სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მხატვრულ ტანვარჯიშში როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში წარმატება მოიპოვეს სსრ კავშირის სპორტსმენებმა. პირად შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა მოსკოვის საარქიტექტორო ინსტიტუტის სტუდენტი ლ. სავინკოვა (29,15 ქულა). ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ლ. პარადიევამ (28,9), ხოლო ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ბულგარელ რ. სტეფანოვას (28,85). გუნდურ ჩათვლაში II და III ადგილები მოიპოვეს ბულგარელმა და ჩეხოსლოვაკიელმა ტანმოვარჯიშეებმა.

სურათზე: გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) ლ. პარადიევა, ლ. სავინკოვა და რ. სტეფანოვა.

ფოტო ბდს-აასისა.

ჟენევიდან თბილისამდე...

კაუნასი, 1939 წელი

ორწლიანმა შესვენებამ, რომელიც II და III ჩემპიონატებს აშორებდა, ვერ შეარყია ლიტველი კალათბურთელების სალიდერო პოზიციები. თავიანთ „სახლში" მათ კვლავ დაამტკიცეს უძლიერესი ევროპული გუნდის რეპუტაცია და მეორედ მოიპოვეს კონტინენტის ჩემპიონის ტიტული. მაგრამ ეს გამარჯვება ლიტველებს დიდი ჯაფის ფასად დაუჯდათ: I ადგილის ბედი გადაწყდა მეტად ძნელ პაექრობაში' ჩემპიონსა და ექსჩემპიონს შორის. ლატვიის კარგად მომზადებულმა ნაკრებმა მინიმალური სხვაობით წააგო გადამწყვეტი მატჩი — 36:37.

ლიტველებმა მოიგეს ყველა დანარჩენი შეხვედრაც (ასპარეზობა წრიული სისტემით ჩატარდა) და 4 ქულის უპირატესობით დამკვიდრდნენ I ადგილზე. აი, ჩემპიონის დანარჩენ შეხვედრათა შედეგებიც: ესტონეთთან — 33:14, პოლონეთთან — 46:18, იტალიასთან — 48:15, საფრანგეთთან — 48:18, უნგრეთთან — 79:15, ფინეთთან — 112:9.

II ადგილი დაისაკუთრეს ლატვიელებმა (5 გამარჯვება), III — პოლონელებმა (ასევე 5 გამარჯვება, მაგრამ მარცხი ლატვიელებთან შეხვედრაში — 20:43), IV — ფრანგებმა (4 გამარჯვება). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ესტონეთი, იტალია, უნგრეთი, ფინეთი.

ჟენევა, 1946 წელი

ომმა დაარღვია კალათბურთში ევროპის ჩემპიონატების ჩატარების რიტმი. მორიგი, IV ჩემპიონატი მხოლოდ მისი დამთავრების შემდეგ გაიმართა — 1946 წელს, ჟენევაში.

შეჯიბრებამ 10 ქვეყნის ნაკრები გუნდები მიიზიდა. ეს კოლექტივები სამ ქვეჯგუფად იქნა დაყოფილი. პირველი ქვეჯგუფიდან, სადაც 4 გუნდი გამოდიოდა, ნახევარფინალში 2 უძლიერესი დაიშვებოდა, ხოლო დანარჩენი 2 ქვეჯგუფიდან — თითო-თითო. ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ იტალიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე უნგრეთის ეროვნული გუნდები.

უკვე წინასწარ ეტაპზევე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელსაც შესანიშნავი კალათბურთელი ივო მრაზეკი ედგა სათავეში. ქვეჯგუფში ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა დაამარცხეს ბელგიისა (38:33) და შვეიცარიის (20:17) გუნდები.

ჩემპიონატის შემდგომი ეტაპი ოლიმპიური სისტემით ტარდებოდა. ჩეხოსლოვაკიელებმა ნახევარფინალში დაამარცხეს უნგრეთი — 48:28. მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში ასევე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს იტალიელებმა საფრანგეთის გუნდთან — 37:25.

გადამწყვეტი მატჩი ჩეხოსლოვაკიასა და იტალიას შორის თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. ძნელი იყო თვით უკანასკნელ წუთამდე უპირატესობა მიეცათ რომელიმე მათგანისთვის. ჩემპიონობის ბედი გადაწყდა უკანასკნელ წამებზე: როცა ანგარიში იყო 32:32, ჩეხოსლოვაკიელთა მიერ შორიდან ნატყორცნმა ბურთმა მიზანს მიაღწია და მათ უძლიერესის წოდებაც მოუტანა.

საბოლოოდ, აღნიშნულ ჩემპიონატზე ადგილები ასეთნაირად განაწილდა: ჩეხოსლოვაკია, იტალია, უნგრეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი, პოლონეთი, ინგლისი.

პრაღა, 1947 წელი

ესაა კალათბურთის სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაციაში საბჭოთა კალათბურთელების შესვლის წელი. ესაა, ამავე დროს, ევროპის ჩემპიონატებში მათი დებიუტის წელი. ბევრს როდი სჯეროდა, რომ საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილების უქონელი ჩვენი გუნდი ოქროს მედლების პრეტენდენტი შეიძლებოდა გამხდარიყო. სპეციალისტთა უმრავლესობა საბოლოოდ განიხიბლა, როცა ჩვენი ნაკრების პირველი მატჩი იხილა. მაგრამ საქმეც ის იყო, რომ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა ს. სპანდარიანმა და პ. ცეტლინმა გადაწყვიტეს თავიდანვე არ გაეხსნათ ყველა კარტი — პირველ მატჩში გუნდი ძირითადი ხუთეულის გარეშე გამოიყვანეს. აი, ამიტომ აებნათ თავგზა საზღვარგარეთელ სპეციალისტებს და მათ ნაადრევად „ჩამოწერეს" საბჭოთა ნაკრები ფავორიტთა რიგებიდან. მაგრამ უკვე მეორევე მატჩმა ერთის დარტყმით გააქარწყლა ეს შეხედულება...

პრაღის ჩემპიონატზე 14 გუნდი გამოდიოდა. ისინი 4 ქვეჯგუფში გაიყვნენ, სადაც შეხვედრები წრიული სისტემით ტარდებოდა. საბჭოთა კალათბურთელების მეტოქეები აქ იყვნენ უნგრეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. ორივე მატჩი მოგებულ იქნა: უნგრელებთან — 62:33, იუგოსლავიელებთან — 50:11. უნგრელებმა, თავის მხრივ, მოუგეს იუგოსლავიელებს და სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად გავიდნენ ნახევარფინალში.

გ. აკოფოვი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

(გაგრძელება იქნება).

დასაწყისი იხ. „ლელო" № 95.

ამხანაგური მატჩები

ამ დღეებში ევროპის უძლიერესმა კლუბებმა ჩაატარეს რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა.

ლისაბონის „ბენფიკამ" ამსტერდამში ითამაშა ადგილობრივ „აიაქსთან". ანგარიში გახსნა პორტუგალიელმა აუგუსტომ, მაგრამ „აიაქსმა", რომელიც გაძლიერებული იყო ჰოლანდიის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელით, მაინც შეძლო პორტუგალიის ჩემპიონის დამარცხება — 2:1.

მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე ადგილობრივი „რეალი" შეხვდა ბელგიის „ბეერშოტს". მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 5:0. გოლები გაიტანეს: პუშკაშმა, მარტინესმა და ფელომ (3).

ესპანეთის „ვალენსიამ" საკუთარ მინდორზე მოუგო ინგლისის „შეფილდ უენსდეის" — 3:0.

(საქ. ინფ.).

●

ტურნე დასრულდა

ინგლისის ნაკრებმა გუშინწინ გამართა ამხანაგური მატჩი გეტებორგში შვეციის ნაკრებთან. ინგლისელებმა გაიმარჯვეს — 2:1.

ამრიგად, ინგლისის ნაკრებმა თავისი „ევროპული ტურნე" წაუგებლად ჩაატარა. — შვედებთან შეხვედრამდე ბელგრადში ფრედ ითამაშა იუგოსლავიის გუნდთან (1:1), ხოლო ნიურნბერგში დაამარცხა გფრ-ის ნაკრები (1:0).

(საქ. ინფ.).

●

ლიდერობს „მილანი"

იტალიის ჩემპიონატის 30-ე ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„მილანი"	30	50:19	48
„ინტერნაციონალე"	30	56:25	47
„იუვენტუსი"	30	39:19	38
„ტორინო"	30	37:24	37
„ფიორენტინა"	30	41:33	35
„ბოლონია"	30	42:30	33
„კატანია"	30	40:41	28
„ფოჯა"	30	24:26	28
„კალიარი"	30	26:31	28
„ვარეზე"	30	26:32	28
„ლანეროსი"	30	29:36	27
„რომა"	30	25:32	26
„ატალანტა"	30	16:24	26
„სამპდორია"	30	18:28	26
„ლაციო"	30	20:32	24
„ჯენოვა"	30	22:42	23
„მანტოვა"	30	15:32	19
„მესინა"	30	21:39	19

(საქ. ინფ.).

▲ **მადრიდი.** მასპინძელთა გარდა, ევროპისა და ამერიკის 10 ქვეყნის 50 მძლეოსანი მონაწილეობდა „ვალერმოს" სტადიონზე გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაში. სიგრძეზე ხტომაში შესანიშნავ შედეგს მიაღწია მსოფლიო რეკორდსმენმა რ. ბოსტონმა (აშშ). იგი 828 სანტიმეტრზე გადახტა. 100 მ რბენაში ევროპის ჩემპიონმა, ფრანგმა კ. პიკემალმა და პოლონელმა ვ. მანიაკმა ერთნაირი დრო (10,4) აჩვენეს. პოლონელი მკერდით იყო წინ. 200 მ რბენა მოიგო პიკემალმა — 20,5 (საფრანგეთის ახალი რეკორდი). ორი გამარჯვება მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიელებმა ი. ტროუსილმა (400 მ რბენა — 47,4) და მსოფლიო რეკორდსმენმა ბადრის ტყორცნაში ლ. დანეკმა (60 მ). ი. სიდლომ (პოლონეთი) 80 მეტრზე ტყორცნა შუბი. 1500 მ რბენა მოიგო მ. ჟაზიმ (საფრანგეთი) — 3.43,7.

▲ **ლოს-ანჯელოსი.** მსუბუქი წონის მექსიკელმა პროფესიულმა მოკრივემ ვინსენტ სალდივარმა მე-15 რაუნდში ნოკაუტით მოუგო შეხვედრა ამერიკელ რაულ როხასს და წაართვა მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. სალდივარი 22 წლისაა და პროფესიონალებში ჩატარებული 27 მატჩიდან მოგებული აქვს 26.

●

ინგლისის თასის წლევანდელი გათამაშების ფინალურ მატჩში, როგორც ცნობილია, ერთმანეთს შეხვდნენ „ლივერპულისა" და „ლიდსის" ფეხბურთელები. მატჩი დამატებით დროში მოიგეს ლივერპულელებმა — 2:1. ამ კოლექტივმა პირველად დაისაკუთრა ეს ღირსეული ჯილდო.

• • •

სურათზე: გამარჯვებულთა საპატიო წრე

ფოტო იუპი-აასისა.

●

მოკლედ

იტალიის თასის ნახევარფინალში გავიდნენ „ინტერნაციონალე" (მილანი), „რომა" (რომი), „იუვენტუსი" (ტურინი) და „ტორინო" (ტურინი). „ინტერი" ხვდება „რომას", ხოლო „იუვენტუსი" — „ტორინოს".

როგორც ცნობილია, 19 მაისს ლონდონში ჩატარდება ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალი ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედსა" და გფრ-ის „მიუნხენ-1860"-ს შორის. მიუნხენის გულშემატკივრებს თავდაპირველად გამოუყვეს 12.000 ბილეთი, მაგრამ გერმანელთა პროტესტის შედეგად ეს რიცხვი გაიზარდა 25.000-მდე.

სმეტიუზის საიუბილეო მატჩის მსვლელობაში დაინიშნა სულ 3 ჯარიმა და ბურთი მხოლოდ 4-ჯერ გავიდა აუტში. მატჩის არბიტრმა არტურ ელისმა განაცხადა, რომ მინდორზე იყვნენ „მხოლოდ ჯენტლმენები".

პორტუგალიის საუკეთესო სნაიპერია ლისაბონის „ბენფიკას" ფორვარდი ეუსებიო. ჩემპიონატის 26 მატჩში მან გაიტანა 28 ბურთი.

(საქ. ინფ.).

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **19 მაისი. რესპუბლიკური პირველობა ვაჟთა შორის. XVI ტური.** დასაწყისი 16 ს. 30 წ.

კალათბურთი. კიროვის სახ. პარკი (ლენინის ქ. № 37). **18-20 მაისი. ზონალური პირველობა შუა აზიის, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ ოსეთის სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებს შორის.** დასაწყისი 10 ს.

ხელბურთი. ხელბურთის მოედანი (პლეხანოვის პრ. № 115). **18 მაისი. საკავშირო პირველობის ზონალური ტურნირი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს შორის.** დასაწყისი 15 ს.

საქართველოს სტუდენტთა თამაშები. 18-19 მაისი. ფარიკაობა. პუშკინის სახ. პედინსტიტუტის სპორტდარბაზი, **მძლეოსნობა** — „ბურევესტნიკის" სტადიონი, **ჩოგბურთი** — ქალაქის სპორტკავშირის კორტები, **მაგიდის ჩოგბურთი** — „ბურევესტნიკის" სპორტდარბაზი, **მხატვრული ტანვარჯიში** — სპი-ს სპორტდარბაზი, **კლასიკური ჭიდაობა** — ლენინის სახ. სპორტდარბაზი, **ძალოსნობა** — თსუ-ს სპორტდარბაზი. დასაწყისი 10 ს. და 16 ს.

რედაქტორი მ. კაკაბაძ

გაზეთი გამოდის ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 0554